

სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან
სატრენინგო მასალები
პირველი ნაბიჯი

სარჩევი

1. თვითსტიმულაცია -----	2
2. რისხვის შეტევა -----	3
3. მოტივაციური პრობლემები -----	5
4. სამედიცინო და სოციალური მოდელი -----	6
5. შეზღუდული შესაძლებლობების კლასიფიკაცია -----	8
6. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის გავლენა ოჯახზე, ქცევითი პრობლემები და მათი მართვა-----	13

თვით-სტიმულაცია

უნარშემოღებულ ბავშვებს ხშირად ახასიათებთ სხვადასხვა ბანამორეზი, სტიმულაციური ქცევა, მაგ: ერთ ადგილას ჯდომა და რწევა, ხელების ქნევა, თვალის გაშტირება, უაზრო გბერების ან სიტყვების ბამორება, სხეულის ნაწილების ბანამორება, უმიზნო მოძრაობა.

ბავშვი აღნიშნული ქცევით აკეთებს საკუთარი თავის სტიმულირებას (ბართობას).

სტიმულაცია შეიძლება იყოს ვიზუალური, აუდიალური(სმენითი) ან ტაქტილური(შხეხვითი).

თვითსტიმულაციური ქცევა შეიძლება ბრძელდებოდეს წლების მანძილზე და ჰქონდეს ყოველდღიური ხასიათი.

რა ვიცი თვით-სტიმულაციის შესახებ:

1. თვით-სტიმულაცია, ბავშვის ნერვული სისტემისთვის ერთგვარ "საკვებს" წარმოადგენს, როდესაც ბავშვი ვერ იღებს საკმარის სტიმულს გარედან, იგი ახორციელებს თვით-სტიმულაციურ ქცევას, რაც ნერვულ სისტემას იცავს მდობარების გაუარესებისა და ატროფიისგან.

თვით-სტიმულაციური ქცევა, უკავშირდება სოციალურად მისაღებ ქცევას; როდესაც ბავშვს სოციალურად მისაღები ქცევები კარგად აქვს ბანვითარებული, მაშინ თვით-სტიმულირების საჭიროება ნაკლებად, ან საერთოდ აღარ ჩნდება.

აქედან გამომდინარე, თუ ბავშვს ვასწავლით მისაღებ ქცევას, ამით შევამცირებთ თვით-სტიმულირებას; მაგრამ, თუ ამას ვერ ვახერხებთ, მაშინ ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება გააბრძელოს თვით-სტიმულირება.

თვით-სტიმულაციური ქცევა შეიძლება გამოიყენოთ როგორც განმამტკიცებელი, მაგალითად: მიეცით ბავშვს თვით-სტიმულირების საშუალება 3-5 წუთის განმავლობაში, მას შემდეგ რაც თქვენს მიერ შეთავაზებულ აქტიობას შეასრულებს.

2. თვით-სტიმულაცია გლობალს გარედან მიღებულ ინფორმაციას, სტიმულს. მაგალითად: თუ ბავშვი თვით-სტიმულაციით არის დაკავებული ბაკვეთილის განმავლობაში, მას არ უსმის ან ყურადღებას აღარ აქცევს მასწავლებლის/მშობლის საუბარს. თვით-სტიმულაციისგან მიღებული სიამოვნება და განმტკიცება, ხშირად უფრო ძლიერია, ვიდრე მასწავლებლის მიერ შეთავაზებული განმამტკიცებელი.

რა შეუძლია მასწავლებელს/მშობელს გააკეთოს? მან შეიძლება ვიზიკურად შეაჩეროს, ან ხმამაღლა მიმართოს, ან გამოიყენოს ბავშვისთვის რაიმე არასასიამოვნო ქცევა, როგორც კი ბავშვი შეუწყვეტს ამგვარ ქცევას, მაშინვე, უნდა წაახალისოს იგი.

3. შესაძლებელია ერთი, ძლიერად გამოხატული თვით-სტიმულაციური ქცევის ჩანაცვლება, სხვა უფრო მისაღები ქცევით. მაგალითად, თუ ვშუშობთ ძლიერად გამოხატულ ქცევაზე (სკამზე წინ და უკან მთელი

ტანით ქანაობა), შესაძლოა ეს ქვევა შეცვალოს უფრო ნაკლებად შემაწუხებელმა, სხვა სახის თვით-სტიმულაციურმა ქვევამ (ვოკალიზაცია – სტიმუტიოული ბგერების გამოწვევა).

ამ შემთხვევაში მიზანია, გავშვავა ბანავითაროს ისეთი თვით-სტიმულაციური ქვევა, რომელიც ნაკლებად შეუშლის ხელს სწავლის პროცესს, და იქნება სოციალურად უფრო მისაღები.

მაგალითად ვოკალიზაცია და ღიღინი, ასევე გაშტირებული გზერა, სოციალურად უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე ხტუნვა და ხელების და ვახების ქვევა.

თვით-სტიმულაციის მოთხოვნილება შეიძლება იყოს კარგი საფუძველი თამაშის და სკორტული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

რისხვის შეტევა

შეზღუდული შესაძლებლობების მეორე ბავშვებს ხშირად აქვთ რისხვითი შეტევები, რაც გამოვლინდება აბრესიულ ქვევაში, აბრესია შესაძლოა იყოს მიმართული როგორც სხვების მიმართ, ისე საკუთარი თავის მიმართაც.

ამგვარი რისხვითი შეტევები ხშირად თავს იჩენს, როდესაც ბავშვს არ სურს დასახული ამოცანის შესრულება. შეტევები შეიძლება იყოს სუსტი – ტირილი, წუწუნა; შეიძლება იყოს ძლიერი – შუშების, ნივთების მტვრევა, საკუთარი თავის ან სხვისი დაზიანება, ავეჯის გადაყირავება, თავის კედელზე ან იატაკზე დარტყმა და ა.შ.

შეტევა შეიძლება იყოს ხანმოკლე რამოდენიმე წამი ან წუთი, და ხანგრძლივი რამოდენიმე საათი, რაც ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ფიზიკურ გამკლავებას ან მედიკამენტების გამოყენებას.

რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით უფრო ძნელი ხდება ამგვარ შეტევებთან გამკლავება, ამიტომ სასურველია რისხვის შეტევები, აღმოცენებისთანავე ჩავაძროთ.

არის მოსახრება, რომ რისხვის შეტევა ატარებს მანიპულატორულ ხასიათს, და ნაკლებად არის დაკავშირებული უფრო ღრმად გამჯდარ ემოციურ პრობლემებთან.

რა ვიციოთ რისხვითი შეტევების შესახებ:

1. რისხვის შეტევა ჩვეულებრივ არის ბავშვის საპასუხო რეაქცია იმედის გაცრუებაზე, მაგ. შექების ან ჯილდოს არ მიღება, ჩვეულ დღის რუტინაში ცვლილებების შეტანა.
2. რისხვითი შეტევები უფრო ძლიერდება და მყარდება, როდესაც ამის გამო თავს ანებებთ მეცადინეობას, ან იმ საქმიანობას, რომლის განმავლობაშიც დაიწყო შეტევა, ანდა იწყებთ უფოთვის გამოვლენას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაკჳრობოთ რისხვით შეტევას, მით უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ის მომავალში.

3. რისხვითი შეტევა ჩაქრება, თუ კი თქვენ იზნორირებას გაუკეთებთ მას, თითქოს განსაკუთრებული არაფერი არ ხდება. რა თქმა უნდა ეს შესაძლებელია, მაშინ, თუ კი რისხვა არ არის მიმართული საკუთარი თავის ან სხვების დაზიანებაზე. ამგვარი გამკლავების მეთოდი ცნობილია როგორც “ჩაქრობა”.
4. რისხვასთან გამკლავების ერთ-ერთი მეთოდია “ტაიმ-აუტი”, ანუ ბავშვის იზოლირებულ ადგილას მოთავსება. მაგრამ, უნდა გახსოვდეთ, რომ ზოგიერთ ბავშვს მართო დარჩენა ძალიან უყვარს და მათთვის “ტაიმ-აუტი” წამახალისებელი აღმოჩნდება, ამდენად მეთოდი შეტყეული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე.
5. გარემო ფაქტორების ბაკონტროლებით შესაძლებელია, შეტევის თავიდან აცილება. მაგ: თუ კი ბავშვი ღიზიანდება ხალხმრავალ ადგილებში, იგი უნდა მოვარიდოთ ამგვარ ადგილებს. ან რისხვის შეტევა ემართება, მაშინ, როდესაც დედა ტელეფონზე ლაპარაკობს, მაშინ დედა ტელეფონზე საუბრისთვის ისეთი დრო უნდა შეარჩიოს, როდესაც ბავშვი არ არის მასთან ერთად ან სძინავს.

ერთის მხრივ გარემო ფაქტორების ბაკონტროლებით, ჩვენ თავიდან ვიცილებთ რისხვის შეტევებს, მაგრამ ამავე დროს, ბავშვს ვართმევთ სხვადასხვა სიტუაციებთან შეგუების საშუალებას. აქედან გამომდინარე უმჯობესია, ბავშვმა ისწავლოს რისხვის გადალახვა და შეძლოს სხვადასხვა სიტუაციებთან შეგუება რისხვითი შეტევების გარეშე. მიუხედავად ამისა, საჭიროა ძალიან ძლიერი მაფრუსტრირებელი სიტუაციების კონტროლი და შეძლებისდაგვარად თავიდან აცილება.

ბავშვები, რომლებსაც ახალიათებთ რისხვითი შეტევები, ცდილობენ უფროსების ქცევის ბაკონტროლებას. ხშირია პირველი ბაკვეთილის, ან სუნის დროს ამგვარი ქცევა, მაგრამ უფროსებმა თავიდანვე უნდა დაანახონ ბავშვს, რომ ამგვარი ქცევა მათზე არ მოქმედებს და გააბრძნონ დაგებშილი საქმიანობა.

ბავშვებს ხშირად აქვთ რისხვითი შეტევა, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ იბეგენ თუ რას მოითხოვენ მისგან და ვერ აბეგინებენ სხვას, თუ რა სურთ თავად. ეს არის ფრუსტრაციის მიზეზიც. ასეთ შემთხვევაში, რისხვითი შეტევა კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება, მაგრამ საკმაოდ შეუფერებელი მეთოდი ემოციების და დამოკიდებულების გამოსახატავად, ამიტომ ბავშვს უნდა ვასწავლოთ კომუნიკაციის უფრო მისაღები გზები.

ამგვარი ქცევის გადაჩვევისთვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განმამტკიცებლების გამოყენებას, გახსოვდეთ, როდესაც ბავშვს რისხვითი შეტევა აქვს, იზნორირება გაუკეთეთ მის ქცევას და როგორც კი გაჩუმდება 2-3 წამის განმავლობაში, მაშინვე წაახალისეთ, შეაქეთ "კარბად ქცევისთვის", (თუკი გადაღებთ შექებას, ეს შეიძლება აღმოჩნდეს რისხვის განმამტკიცებელი). თანდათანობით უნდა გაიზარდოს მშვიდად ყოფნის ინტერვალი 2-3 წამიდან 5-6 წამამდე, შემდეგ კიდევ მეტად უნდა გაიზარდოს, იქამდე სანამ საერთოდ არ გაქრება.

როდესაც ბავშვს რისხვის შეტევა აქვს, ყველაზე მნიშვნელოვანია გახსოვდეთ: *ამ ქცევამ არ შეგაშინოთ!* შეინარჩუნეთ სიმშვიდე და იყავით რაციონალური. შეიძლება თქვენ თვლით, რომ ბავშვს არაფერი ესმის, გამოთიფულია, მაგრამ, სინამდვილეში ეს ესე არ არის, ის ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს თქვენ ემოციებზე და ქცევაზე, და თუ კი თქვენ

შეგეშინდათ, დაიბენით, შეფფოთდით, ეს ნიშნავს, რომ ბავშმა კაღიან კარბად მოახერხა თქვენი მართვა, არ მისცეთ მას ამის საშუალება, ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა მართოთ ბავშვი.

ხშირ შემთხვევაში ამგვარი ქცევის ბამო, ბავშვი შეიძლება იზოლირებულ ბარემოში იზრდებოდეს, დარჩეს იმ სკოლის ბარეში, რომელშიც შეუძლია მას სწავლა. ვინაიდან მისი ქცევა ბარემოსთვის მიუღებელია, აწინებს რობორც სხვა ბავშვებს, ისე ზრდასრულებს და კვდაბობებსაც კი, შედეგად, ამგვარი ქცევის მქონე ბავშვი რჩება ბანათლების ბარეში, შეიძლება დაუნიშნონ მედიკამენტები.

რისხვითი შეტევის მიმართ დროული და მკაცრი დამოკიდებულების ბამოვლენით, ჩვენ ვაძლევთ ბავშვს შესაძლებლობას იცხოვროს და ბანვითარდეს, რობორც საზობალოების სრულფასოვანი წევრი.

მოტივაციური პრობლემები

ზობიერთ უნარშეზღუდულ ბავშვთან, სწავლის სურვილი დაქვეითებულია ან საერთოდ არ არის. ზობ შემთხვევაში ამის მიზეზი წარშმატებლობის და იმეღბაცრუების ბანცდაა, რომელიც ბამოწვეულია შემეცნებითი და სოციალური უნარების დაბალი ბანვითარებით ან სწავლების პროცესის არასწორი დაბეგმვით, ან ორივე ერთად.

ასეთ შემთხვევაში, აღმზრდელმა უნდა იხელმძღვანელოს წახალისების სისტემით და ბავშვს ხელოვნურად ბანვითაროს სწავლის მოტივაცია.

ეს შესაძლებელია, რობორც უკვე ვიცით, ბავშვის ქცევაზე დაბეგმილი და აღმეკვატური რეაბირებით: როდესაც ბავშვი ავლენს “სასურველ ქცევას” ის შემჩნეული და ხაზბასმული (კოზიტიური რეკლიკით, შექებით, მოფერებით...) უნდა იყოს უფროსის მხრიდან, როდესაც ბავშვი ავლენს “არასასურველ ქცევას” მასზე ან საერთოდ არ უნდა მივცეთ რეაქცია, ან მიგანიშნოთ მის უარყოფით მხარეზე.

ძირითადი წესია: მიეცით ბავშვს საშუალება ბააკეთოს ის რაც უნდა მაშინ, როდესაც უკვე ბააკეთებს იმას რაც „საჭიროა“.

ბამოიყენეთ ბამამხნევებელი კოზიტიური ბანმამტკიცებელი დასაწყისში, სანამ ის მუშაობს ამოცანაზე. მას შემდეგ, რაც ბავშვი ბაიწაფება ამ ამოცანის შესრულებაში, შეამცირეთ ბანმამტკიცებლების მიწოდება. ამ ეტაპზე ბავშმა უნდა ბაჩვენოთ თუ რობორ შეუძლია ამის ბაკეთება, კოზიტიური ბანმამტკიცებლის ბარეში.

ახლად ნასწავლი ქცევისას შექება ნელ-ნელა შეამცირეთ, ვინააღმდეგ შემთხვევაში ქცევა არ ბანმტკიცდება, ბაღრმავდება. ეს მნიშვნელოვანია, რაღბანაც თქვენ ბინდათ შეინახოთ ჰილოლოები ახალი ქცევისთვის.

რა არის საჭირო მოტივაციის ბაზრდისა და კონტროლირებისათვის:

- არ მისცეთ ბავშვს თვით-სტიმულირების საშუალება სწავლის პროცესის განმავლობაში.
- იმ შემთხვევაში მიეცეთ თვით-სტიმულირების საშუალება, როდესაც შეასრულებს დაგეგმილ აქტიობას.
- თუ ბავშვი აღელდა შეცდომის დაშვების ბამო, არ დასაჯოთ ის შეცდომისათვის, ის უკვე სჯის თავისთავს. სულ მალე თქვენ აღმოაჩნენ, რომ ის ბავშვი, რომელიც სჯის თავის თავს შეცდომისათვის კალიან აღვილად სწავლებადია. მას აქვს მაღალი მოტივაცია. ამ შემთხვევაში, შეზღუდულია ანუ აწვავს, რომელიც დაეხმარება მას, გაუმკლავდეს მდებარეობას.
- თქვენ თავიდან შეზღუდულია ბამოიყენოთ ხელოვნური მოტივაციური ფაქტორები. კარგი მასწავლებელი შეძლებს თანდათან ამ მოტივაციური ფაქტორების მოხსნას და რაც შეიძლება მალე დაემსაზღვრება სასწავლო სიტუაცია ნორმალურს, მაგ: გადაცვლითი განმამტკიცებლები (მონეტები, მარკები) ხშირად ბამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები

განსაზღვრება:

- საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდული შესაძლებლობა განისაზღვრება, როგორც დაზიანება, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ერთ ან მეტ საციცოცხლო ფუნქციას.
- სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განსაზღვრების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობები არის პირობები და დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ გონებრივ, ფიზიკურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ემოციურ და ადაპტაციურ განვითარებაზე.
- გაეროს 1993 წლის განმარტებით, საკმაო რაოდენობის ფუნქციური შეზღუდვები, რომლებიც წარმოიქმნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ მოსახლეობაში. ადამიანები შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობების გახდნენ ფიზიკური, ინტელექტუალური ან გრძნობის ორგანოების დაზიანების, სამედიცინო მდგომარეობის ან გონებრივი ავადმყოფობის შედეგად.

სამედიცინო და სოციალური მოდელი

სამედიცინო მოდელი განიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობებს როგორც დაავადებას, როდესაც ეს ადამიანები ითვლებიან პაციენტებად და მათ ესაჭიროებათ მკურნალობა ანუ ეს არის მათი მთავარი საჭიროება.

ადამიანი განიხილება როგორც პირი რომელიც საჭიროებს შესწავლას, დიაგნოზის დადგენას და მკურნალობას.

სოციალური მოდელი აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს როგორც საზოგადოების წევრებს, მაგრამ არათანასწორობის ელემენტებით, რაც გამოწვეულია საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ არსებული დამოკიდებულებით და ღირებულებებით.

ამ მოდელის მიხედვით საზოგადოებას გააჩნია პასუხისმგებლობა ხელი შეუწყოს ამ ადამიანების სრულუფლებიან წევრობას.

გამომწვევი მიზეზები

ძირითადად იკვეთება ორი ჯგუფის ფაქტორი: ორგანული და სოციალურ-კულტურალური

ორგანული მიზეზით გამოწვეულ დარღვევებს მიეკუთვნება გენეტიკური და კონსტიტუციური ფაქტორები:

- მშობლების ქრონიკული დაავადებები
- გენეტიკური, ქრომოსომული დარღვევები
- ნეირობიოლოგიური გაგლენა
- ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები

სოციალურ-კულტურალურ მიზეზებს მიეკუთვნება:

- სიღარიბე
- არასასურველი ოჯახური და სოციალური გარემო: მუდმივი სტრესი, დაძაბულობა...
- ინტელექტის განვითარების გენეტიკური ფაქტორები
- ფიზიკური და ემოციური მზრუნველობის ნაკლებობა
- და სხვა. . .

ხუთი გამოცდილი ღირებულება

ღირსება

უსაფრთხოება

მყუდროება

ინფორმაციის გაზიარება

პატივისცემით მოპყრობა

ჯანმრთელობის საუკეთესო

მდგომარეობა

სამართლიანი მოპყრობა

ძალადობისგან და

უგულვებელყოფისგან დაცვა

უფლებების დაცვა

ურთიერთობები

მეგობრები
ხანგრძლივი ურთიერთობები
ინტიმური ურთიერთობები
ბუნებრივი მხარდაჭერა

არჩევანი

პირადი მიზნები
აირჩიო ვისთან იცხოვრო
ვარ თუ არა კმაყოფილი სერვისებით?
ყოველდღიური საქმიანობის არჩევა
მომსახურების არჩევა

ყოველდღიური ადგილები

გარემოს გამოყენება
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა
ინტეგრირებულ გარემოში ცხოვრება

წვლილი საზოგადოებაში

მიზნების მიღწევა
ღირებული სოციალური როლი
ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა

შეზღუდული შესაძლებლობების კლასიფიკაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა სახის დაზიანებები: ინტელექტუალური, ფიზიკური ან ფიზიკური და ინტელექტუალური ერთად.

არსებობს ინტელექტუალური უნარების შეზღუდვის ოთხი ხარისხი:

- მსუბუქი
- საშუალო
- მძიმე
- ღრმა

ინტელექტუალური უნარების მსუბუქი შეზღუდვა:

განვითარების უმნიშვნელო დარღვევები, რაც აღენიშნებათ მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს, სკოლაში მისვლამდე შეუმჩნეველი რჩება, და ვლინდება სწავლის ან ქცევით პრობლემებში. სკოლამდელ ასაკში (5 წლამდე), მათ უყალიბდებათ სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. სენსომოტორული (სმენის, მხედველობის, მოძრაობის) დარღვევები არ არის, ან მინიმალურია. მოზარდობის ხანის დასასრულისთვის, ისინი ფლობენ დაახლოებით მე-6 კლასის პროგრამის შესაბამის ცოდნას. ზრდასრული ასაკისთვის ისინი იძენენ სოციალურ და პროფესიონალურ უნარებს.

დახმარების საჭიროება: ასეთ ადამიანებს, შეუძლიათ წარმატებით იცხოვრონ საზოგადოებაში დამოუკიდებლად (იმუშაონ, შექმნან ოჯახი). მაგრამ, სტრესული სიტუაციების დროს (მაგ: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახალი სამსახურის დაწყება, ახლობლის გარდაცვალება) საჭიროებენ სხვა ადამიანების დახმარებას.

ინტელექტუალური უნარების საშუალო შეზღუდვა:

ასეთ დროს არის, მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ადაპტაციური დარღვევები. სასკოლო ასაკისათვის ბავშვებს შეუძლიათ მეტყველება ცალკეული სიტყვების და ქვებების მეშვეობით. თვითმოვლის უნარი და მოტორული განვითარება შეესაბამება 2-3 წლის ნორმალური ბავშვის განვითარებას. 12 წლისათვის მათ აქვთ გარკვეული კომუნიკაციური უნარები (მარტივი ფრაზებით მეტყველება, თავიანთი აზრის მეორე ადამიანისთვის გაგებინება) და შეუძლიათ მათი გამოყენება.

სოციალური და პროფესიონალური უნარების განვითარება შესაძლებელია, პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით. მაგრამ თეორიული ცოდნის მხრივ მეორე კლასის პროგრამაზე მეტს ვერ ითვისებენ.

მოზარდებს ექმნებათ პრობლემები სოციალური ნორმების და წესების ათვისებაში. ზრდასრულ ასაკში, იმდენად არიან ადაპტირებულნი, რომ შეუძლიათ საზოგადოებაში ცხოვრება, შეუძლიათ არაკვალიფიციური ან ნახევრადკვალიფიციური სამუშაოს შესრულება სპეციალურ სახელოსნოებში ან ჩვეულებრივ სამსახურში.

დახმარების საჭიროება: სოციალური და პროფესიონალური უნარების გამომუშავებისთვის, ესაჭიროებათ სპეციალური პრაქტიკული მეცადინეობები, მუშაობის პროცესშიც, მათ ესაჭიროებათ სპეციალური ზედამხედველობა და დახმარება.

ინტელექტუალური უნარების მძიმე შეზღუდვა:

ინტელექტუალური ფუნქციონირების მძიმე შეზღუდვა, როგორც წესი, გამოწვეულია ტვინის ორგანული დაზიანებით, ან გენეტიკური დეფექტით; დიაგნოზი ადრეულ ბავშვობაშივე იკვეთება.

ისეთ განვითარების ეტაპებს, როგორცაა დგომა და სიარული, გადიან ბევრად მოგვიანებით, ვიდრე ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები. საკუთარი თავის მოვლის ელემენტებს ითვისებენ ცხრა წლის ასაკისთვის. გარდა ინტელექტუალური დარღვევებისა, შესაძლოა ჰქონდეთ ფიზიკური (მოძრაობის) და ჯანმრთელობის პრობლემები.

ბავშვობის ადრეულ ეტაპზე, მეტყველება მწირია ან საერთოდ არ არის, 12 წლისათვის, ზოგიერთ მათგანს შეუძლია ორ-სამ სიტყვიანი წინადადებების თქმა. 13-14 წლისათვის აკადემიური და ადაპტაციური უნარების მხრივ შეესაბამებიან 4-6 წლის ნორმალური განვითარების ბავშვის ასაკს.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ისწავლონ ანბანი და მარტივი თვლა, აგრეთვე ისეთი წარწერების ამოცნობა, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, მაგ: ცხელია, საშიშია, სდექ და სხვა.

დახმარების საჭიროება: ესაჭიროებათ ინტენსიური სწავლება, რათა შეძლონ მარტივი მითითებების შესრულება. მთელი ცხოვრების განმავლობაში სჭირდებათ რეგულარული მხარდაჭერა და მეთვალყურეობა.

ინტელექტუალური უნარების ღრმა შეზღუდვა:

ინტელექტუალური უნარების ღრმა შეზღუდვა, ჩვილობის ასაკშივე იკვეთება, განვითარების შეფერხების და ბიოლოგიური ანომალიების (მაგ: სახის ნაკეთების ასიმეტრია) გამო.

ადრეულ ასაკში, მათ აქვთ მნიშვნელოვანი სენსომოტორული დარღვევები; თითქმის ყველა შემთხვევაში, ჩამორჩენილობის მიზეზი ორგანული ხასიათისაა და თან ახლავს ისეთი დაავადებები, როგორცაა ეპილეფსია, გულის მანკი...

საჭიროებენ ინტენსიურ სწავლებას/ტრენინგს, რათა ისწავლონ კება, თვითმომსახურება, ტუალეტით სარგებლობა და ჩაცმა.

ამგვარი სწავლებით უზრუნველყოფის შემთხვევაში, ასეთი ადამიანების ნაწილს შეუძლია მარტივი აქტივობების შესრულება, ხელების დაბანა, ჩაცმა-გახდა.

დახმარების საჭიროება: ელემენტარული თვითმოვლის უნარების გამოძევაებისთვის, ესაჭიროებათ ინტენსიური სწავლება და მთელი ცხოვრების განმავლობაში დახმარება და ზედმიწევნით კონტროლი.

საჭირო მხარდაჭერა

არსებობს ალტერნატიული მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს არა ინტელექტუალური ფუნქციონირების შეზღუდვის სიმძიმეზე, არამედ საჭირო დახმარების მიწოდებაზე, რომელიც ესაჭიროება ამ ადამიანს საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მიდგომა აქცენტს აკეთებს ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთობაზე:

საჭიროების შემთხვევაში

პერიოდული დახმარება გულისხმობს – დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მაგ: თუ კი უნარშეზღუდულმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, ახლობელი ადამიანი ან იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში.

პერიოდული

უფრო მეტად თანმიმდევრული დახმარება, მაგ: დროში განსაზღვრული პროფესიული ტრენინგი, ან დახმარება, როდესაც ხდება სწავლებიდან მუშაობაზე გადასვლა.

რეგულარული

ამგვარი დახმარება გულისხმობს – ადამიანის მოღვაწეობაში რეგულარულ (ყოველდღიურ) ჩარევას, დროში არ არის განსაზღვრული.

სრული

მუდმივი და ძალიან ინტენსიური დახმარება, შესაძლოა მთელი ცხოვრების მანძილზე.

ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები უფრო მეტად დგანან ძალადობის რისკის წინაშე, რადგან ისინი უფრო დაუცველნი არიან, შემდეგი მიზეზების გამო:

- სხვებთან შედარებით, უფრო ნაკლები სოციალური კონტაქტები
- აღმზრდელებისგან იღებენ ინტიმურ დახმარებას, რაც იწვევს საზღვრების აღრევას და ზრდის რისკს
- ნაკლებად შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა
- კომუნიკაციის სიძნელის გამო, ნაკლებად შესწევთ უნარი გადმოსცენ რა ხდება მათ მიმართ
- უფრო მეტად დაუცველნი არიან სხვათა დაშინების და მუქარისგან

როგორ ვუზრუნველყოთ ძალადობისგან დაცვა

- მივცეთ საშუალება, ნებისმიერი გზით გამოთქვან თავიანთი გრძნობები
- მივცეთ სათანადო განათლება მათი უფლებების, სოციალური, პირადი და სექსუალური ცხოვრების შეახებ
- მოუსმინოთ მათ პრობლემებს
- ყველა თანამშრომელმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგები
- ძალადობის ჩამოთვლილი ნიშნების ამოცნობა და რეაგირება

მისაღები მზრუნველობის ფორმები:

- აღმზრდელის მხრიდან ემოციების გამოხატვა და ემოციური სახის უკუკავშირი:
- სხვადასხვა სახის სენსორული სტიმულაცია და დადებითი ემოციების გამოხატვა;
- აღმზრდელის მხრიდან სრულფასოვანი, ბავშვზე ორიენტირებული ურთიერთობა.
- საჭიროების შემთხვევაში კრიტიკა, გაწყობა ან საქმიანობის შეწყვეტა;
- ამ დროს გამოიყენება გამოხატვის ემოციური მანერა და საკმაოდ მკაცრი, მძაფრი ტონი.

ნაკლებად მისაღები ურთიერთობა:

- აღმზრდელები ავლენენ ემოციურ რიგიდულობას და მოუქნელობას, ნეიტრალურად რეაგირებენ ბავშვზე;
- იყენებენ სიტყვიერ და უსიტყვო ზეწოლის ფორმებს, და ამით ცდილობენ არარეალისტური შედეგების მიღწევას;

- ხშირად იყენებენ სიტყვიერ და უსიტყვო იძულების მეთოდებს, რაც იწვევს ბავშვის საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას;
- აღმზრდელი მგრძობიარე არ არის, არ რეაგირებს ბავშვის მოთხოვნილებებზე;
- უფროსების მხრიდან სხვა ბავშვებთან შედარება;
- უფროსები იყენებენ საკუთარ უპირატესობას, ან არ აღიარებენ ბავშვების მათზე დამოკიდებულებას;
- ხელს უშლიან ბავშვის მოთხოვნილებას - განმარტოვდეს.

ქცევის მიუღებელი ფორმები/ძალადობა/მშობლის მზრუნველობის არ არსებობა:

- უფროსები ამცირებენ და შეურაცხყოფას აყენებენ ბავშვს;
- ემოციურად და ფიზიკურად უარყოფენ/უკუაგდებენ ბავშვის ყურადღებას;
- იყენებენ კონტროლის უხეშ ფორმებს;
- უგრძობი არიან ბავშვის მოთხოვნილებების მიმართ;
- სპეციალურად აშინებენ ბავშვს, ემუქრებიან ან იწვევენ მის უარყოფით რეაქციებს;
- რეაგირებენ მეტისმეტად ემოციურად და მოულოდნელად
- სარგებლობენ იმით, რომ ბავშვი მათზეა დამოკიდებული, იყენებენ იძულებას, მუქარას ან მოსყიდვას;
- იყენებენ ფიზიკურ ან სექსუალურ იძულების ან ძალადობის ფორმებს;

ზრუნვის პრინციპები

- თანმიმდევრულობა:** მშობლები, ბებია-ბაბუა და სხვა უფროსები, რომლებიც ტრიალებენ ბავშვის გარშემო, უნდა იყენებდნენ ერთ თანმიმდევრულ, შეთანხმებულ მიდგომას ბავშვის მიმართ.
- მოექცეით თქვენს უნარშეზღუდულ ბავშვს ისე, როგორც სხვა ჯანმრთელ ბავშვებს.**
- კარგი დაგეგმვა, აგაცილებთ პრობლემებს:** წინასწარ იფიქრეთ, გათვალეთ ყველაფერი, რამაც შეიძლება ბავშვის არასასურველი ქცევა გამოიწვიოს ან გააღიზიანოს ის, და აირიდეთ ისინი.
- ჯერ საქმე, მერე გართობა – ყოველთვის:** ეს ის წესია, რომელიც არ უნდა დაირღვეს. მოერიდეთ მისცეთ სათამაშო, რათა ბავშვი გააჩუმოთ, მიეცით სათამაშო ჯილდოდ, მას შემდეგ, რაც გააკეთებს სასურველ ქცევას.
- შეეცადეთ "დაიჭიროთ" ბავშვის კარგი საქციელი და გაამახვილოთ მასზე ყურადღება, ცუდ საქციელზე კი იგნორირება გააკეთეთ (თუ ეს შესაძლებელია):** თქვენი ყურადღება მომართული უნდა იყოს კარგ ქცევაზე, მცირე უსაქციელობას არ მიაქციოთ ყურადღება (ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შენიშნოთ)
- დააწესეთ მკაფიო წესები:** ყველა ბავშვს სჭირდება მკაფიო წესები და გაძლოდა.

- ყოველთვის გკონდეს უფრო მეტის მოლოდინი;
- არ დაანახოთ, რომ ბრაზობთ;
- ბავშვის რთული ქცევა განიხილეთ, როგორც სწავლის შესაძლებლობა;
- არ არსებობს იდეალური აღმზრდელი;
- თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ბავშვის გამომწვევი ქცევა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის გავლენა ოჯახზე

ბავშვის გაჩენა მნიშვნელოვნად ცვლის ოჯახის დინამიკას. ოჯახის წევრებს ესაჭიროებათ ადაპტირება ახალი წევრის მიმართ. ბავშვი, რომელიც გარკვეული პრობლემებით დაიბადა იწვევს ძლიერ ცვლილებებს. ოჯახების უმრავლესობა იცვლის ყოველდღიური ცხოვრების თანმიმდევრობას, იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, სამსახურს და ა.შ.

შეზღუდული უნარების მქონე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მშობლები გადიან ემოციური რეაგირების ისეთივე სტადიებს, როგორც ძლიერი სტრესის დროს. რასაკვირველია, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია.

შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების მშობლების გამოკითხვისას ჩამოყალიბდა შემდეგი საფესურები:

- შოკი და გაურკვეველობა** - როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს მომხდარის გააზრებას, გადამუშავებას, ვერ პოულობს მოვლენის ახსნას. ხშირია შეგრძნება, რომ “ქრაც ხდება სიზმარია,” ან “ეს შეუძლებელია მე დამმართნოდა”.
- უარყოფა** - ზოგ შემთხვევაში, მშობელი არ იღებს ფაქტს, რომ მის შვილს პრობლემები აქვს, მაშინაც კი, როდესაც პრობლემები აშკარაა. ისინი ვერ ამჩნევენ, იგნორირებას უწევენ ბავშვის მდგომარეობის ან ქმედების მნიშვნელოვნებას
- დანაშაულის გრძნობა.** შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების მშობლები, შვილის ასეთი მდგომარეობის გამო, ხშირად თავს დამნაშავედ თვლიან.
- სევდა** – ეს არის რეაქცია, რომელსაც იწვევს იმ მოლოდინებისა და ოცნებების რღვევა, რომელიც მშობელს ჰქონდა ბავშვის მიმართ. მშობლებს სჭირდებათ დრო, რათა “გამოიგლოვონ” იმ იდეალური ბავშვის ხატის დაკარგვა, რომელიც მათ წარმოდგენებში ჰქონდათ.
- ნერვიულობა და შიში** – ხშირად მშობლებს უჩნდებათ მომავლის შიში, მათ არ იციან როგორ უმკურნალონ ბავშვს, უშველის თუ არა მკურნალობა, ხომ არ გაუარესდება მათი მდგომარეობა, როგორ უნდა მოუარონ მას და ა.შ.
- მრისხანება** – ზოგიერთ მშობელს უჩნდება აგრესია და ბრაზი, მათი მდგომარეობის გამო, მათ ვერ გაუგიათ რატომ აქვს სწორედ მათ

შვილს ეს პრობლემა, მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ?

- ❑ **საზოგადოებასთან დამოკიდებულება.** მშობლები ძლიერ მგრძობიარენი შეიძლება იყვნენ საზოგადოებრივი აზრის მიმართ. ისინი ზოგჯერ ფიქრობენ, რომ სწორედ მათ გარშემოა სხვების ყურადღება კონცენტრირებული
- ❑ **ბავშვის დამოკიდებულება საკუთარი მდგომარეობის მიმართ.** ბავშვთან საუბარი მისი ნაკლოვანებების შესახებ, მშობლისთვის საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო მომენტი. მშობლები ხშირად ცდილობენ თავი აარიდონ ამგვარ საუბრებს, მაგრამ ბავშვს ადრე თუ გვიან უნდა უჩნდებოდა კითხვები საკუთარ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაზეც პასუხი აუცილებლად უნდა მიიღოს.
- ❑ **მშობლების ადაპტაცია.** შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების მშობლები, საშუალოზე მეტად განიცდიან სტრესულ სიტუაციებს, რაც ბავშვის მოვლის ყოველდღიურ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული

ოჯახის რესურსები და გამკლავების მექანიზმები

სპეციალისტების აზრით:

- ❑ ყოველი ოჯახი უნიკალურია, ყოველ ოჯახს აქვს თავისი რესურსები, ღირებულებები და სამყაროს ხედვის ხერხი.
- ❑ ყველაფერი რაც ოჯახის ერთ-ერთ წევრთან არის დაკავშირებული, გავლენას ახდენს მთელ ოჯახზე.
- ❑ ოჯახის ყველა წევრს აქვს საჭიროებები და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების უფლება. არცერთი პიროვნება ოჯახში არ არის უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე მეორე.
- ❑ დროთა განმავლობაში იცვლება ოჯახი, მისი წევრები, მოვლენები. ეს ცვლილებები შეიძლება რთული იყოს, ვინაიდან მოითხოვს ოჯახის წევრების ცვლილებასაც და ისინი ცდილობენ უპასუხონ გარემოს მოთხოვნებს.
- ❑ ყველა ოჯახისთვის, სირთულეების სიმძიმის მიუხედავად არსებობს ერთი მთავარი და საერთო რამ, მათ შესწევთ ძალა (ძლიერი მხარეები), რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ გადაჭრან პრობლემები.

სოციალური სამუშაოს 6 ფაზა

1. პიროვნების აღმოჩენა
2. პიროვნების უნარების, შესაძლებლობების, საჭიროებების, უსაფრთხოების შესწავლა
3. პიროვნების მიზნების, სამომავლო ხედვის შესწავლა
4. პიროვნების მხარდამჭერთა წრის შეკვრა
5. კონსტრუქციული ქმედებები მიზნის მისაღწევად

6. უკუკავშირი

საიდან უნდა დავიწყოთ?

გავიცნოთ ადამიანი და მოვიპოვოთ ნდობა

რა უნდა ვიცოდეთ:

- პიროვნების წარსული
- უნარი, შესაძლებლობა, ნიჭი, ინტერესი
- როგორ ესმით მისი გარემომცემოვ ადამიანებს
- პიროვნების ყოველდღიური, ყოველკვირეული ადგილები, საქმიანობები
- ურთიერთობები, რომელიც პიროვნებას აქვს
- რა დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება
- მისი არჩევანი და პრიორიტეტები
- სამომავლო იდეები
- მომავლის შიშები

მუშაობისთვის აუცილებელი 8 წესი

- გასაგებად აუხსენით პიროვნებას რას აკეთებთ
- ჰკითხეთ პიროვნებას, აქვს თუ არა მას სურვილი დაგეხმაროთ ამ პროცესში
- გაატარეთ გარკვეული დრო პიროვნებასთან ერთად, მისთვის ჩვეულ და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში
- სხვებისგან გაარკვიეთ რა განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროება ამ პიროვნებას იმისათვის, რომ თქვენ დაგეხმაროთ
- დაგეგმეთ შეხვედრები პიროვნებისათვის მნიშვნელოვან ადამიანებთან (ოჯახის წევრები, მეგობრები და ა.შ.)
- ყოველთვის ეცადეთ პიროვნება ჩართული იყოს პროცესში, მაშინაც კი როდესაც სხვები მასზე საუბრობენ
- ჩანაწერები გამოიყენეთ, როდესაც გარკვეული დანაკლისის შევსება გჭირდებათ.

2 ოქროს წესი:

- *პიროვნების პატივისცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასზე ინფორმაციის მოძიება*
- *არაფერი დაუშაოთ ადამიანს საქმიანობის პროცესში*

რა არის საჭირო წარმატებული მუშაობისათვის

- პიროვნების შესაძლებლობების აღმოჩენა და ხელშეწყობა
- პიროვნების ადვოკატირება
- კონფიდენციალურობის დაცვა
- პასუხისმგებლობა
- გამოკვეთილი მიზნები
- კონსტრუქციული ცვლილებები
- სხვადასხვა სპეციალისტების ჯგუფში გაერთიანება და მათთან თანამშრომლობა
- შემოქმედებითი აზროვნება

- მონიტორინგის, რეფლექსიის და შეფასების უნარები

მიზნები უნდა იყოს

- სპეციფიური
- გაზომვადი
- მიღწევადი
- რეალისტური
- დროში გაწერილი

რა არის გეგმა?

- გეგმა არ არის პროცესის შედეგი
- იმისათვის, რომ გეგმა გახდეს შედეგი ის უნდა განხორციელდეს
- $\text{განხორციელება} = \text{გეგმას} + \text{ქმედება} + \text{უკუკავშირი} + \text{ქმედება}$
-

ქცევითი პრობლემები

ნებისმიერ ქცევას აქვს კონტექსტი ანუ გამომწვევი მიზეზი და შედეგი, რომლისკენაც მივყავართ ამ ქცევას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შემთხვევაშიც ამგვარადაა, როგორც არ უნდა იყოს ბავშვის ქცევა, სასურველი თუ პრობლემური, ის ყოველთვის რაიმე კონტექსტში წარმოიქმნება. ხშირად, ქცევა რომელიც ერთი შეხედვით უმიზნო და შემთხვევითი გვეჩვენება, სინამდვილეში ბავშვის კომუნიკაციის ფორმას წარმოადგენს და ბარკვეულ მიზანს ემსახურება.

აქედან გამომდინარე, ყველა ქცევას აქვს ფუნქცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქცევის ყველა ფორმა მისაღებია, ამდენად, როდესაც ბავშვს აქვს პრობლემური ქცევა, ჩვენ წინააღმდეგობა კი არ უნდა ბავშვით და შევებრძოლოთ მას, არამედ ბავშვით, თუ რას ემსახურება ეს ქცევა და რა ფუნქციას ასრულებს ბავშვისთვის, აქედან გამომდინარე, ჩვენ კარგად უნდა დავაკვირდეთ და შევისწავლოთ აღნიშნული ქცევა.

ამგვარად პრობლემური ქცევა, ჩვენთვის გადაიქცევა “ამოცანად, რომელიც კარგად უნდა გავიაზროთ, გავიგოთ მისი ფარული მოტივები და ამ მოტივების დასაკმაყოფილებლად ბავშვს სოციალურად უფრო მისაღები ქცევის ფორმები შევთავაზოთ.

ქცევის შესასწავლად ბთავაზობთ ABC მოდელს:

ABC მოდელის მიხედვით, ყოველი კონკრეტული ქცევა, შინაგანი ან გარეგანი ფაქტორებით არის განპირობებული და წარმოადგენს ქცევის წინაპირობისა და შედეგის პროდუქტს.

A-აღნიშნავს ყველაფერ იმას, რაც წინ უძღვის ქცევას და ნიშნავს – წინაპირობას (antecedent)

B-აღნიშნავს თავად ქცევას (behavior)

C-აღნიშნავს შედეგს, ანუ იმას, რაც უშუალოდ თან სდევს ქცევას. (consequence)

როდესაც ვმუშაობთ ქცევით პრობლემებზე, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ თუ რაში მდგომარეობს პრობლემური ქცევა.

როგორც ვიცით, ქცევითი პრობლემები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგ: თვითსტიმულაციური ქცევა, რისხვის შეტევა, მოტივაციური პრობლემები, უბრალოდ ტირილი, უმიზნოდ სივრცეში ყურება, ინსტრუქციების ან ამოცანის არ შესრულება... ამავდროულად, გავშვს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე ქცევითი პრობლემა ერთად. მაგრამ, ყოველივე ეს, არაფერს ბეუბნება თავად ქცევაზე.

როდესაც ვმუშაობთ კონკრეტულ გავშვთან პრობლემურ ქცევაზე, პირველ რიგში:

1. განისაზღვროს ქცევა (B) მარტივად და ზუსტად, რათა ყველასთვის გასაგები იყოს, თუ რა მოხდა. მაგ: თინიკო აღბა სკამიდან, დაიწყო სირბილი და ყვირილი.

განისაზღვროს თუ რა გარემოებაში განხორციელდა ეს ქცევა, ვინაიდან ერთი და იგივე ქცევა გარემოებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აღქმული, მაგ: “თინიკომ დაღვარა საღებავი”, ერთია, თუ ეს მოხდა თავის მაგიდასთან სახატავ ქაღალდზე, და სხვაა, თუ სასაღილო ოთახში ხალიჩაზე, უფრო ბარკვეულ სურათს ქმნის განსაზღვრება: “თინიკომ დაღვარა საღებავი სახატავ ფურცელზე”.

2. განისაზღვროს რა უძღოდა წინ აღნიშნულ ქცევას ანუ ქცევის წინაპირობა (A) როგორც უკვე ავლიშნეთ, ხშირ შემთხვევაში, ქცევას განაპირობებს შინაგანი ან გარეგანი ფაქტორი, მაგ: გავშვი შეაწუხა შიმშილის ბრძოლა – იგი იწყებს ტირილს, ან გავშვი ხელავს კანფეტს მაღაზიაში, იგი სთხოვს დედას უყიდოს კანფეტი, მაგრამ თუ ამის თქმის საშუალება არ აქვს?! და არც შესტიკუვლაციით არ შეუძლია მიუთითოს დედას?! მაშინ ის იწყებს დედის ან საკუთარი თავის კბენას, ან სხვა უსიამოვნო ქცევას. მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც ვიცით თუ რა უსწრებს ქცევას წინ, ჩვენ შეგვიძლია დავაღბინოთ, ამ ქცევის გამომწვევი მიზეზი, და შევძლებ ვიმოქმედოთ გამომწვევს ფაქტორზე.

აბრეშვი მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ როდის ხდება აღნიშნული ქცევა,

მაგ: დღით, როდესაც გავშვი იბანს ხელ პირს, ან როდესაც გავშვი განმარტობით ზის თავის სკამზე. . . შეიძლება რაიმე ქცევა ერთსა და იმავე დროს ხდებოდეს.

3. განისაზღვროს თუ რა მოყვება უშუალოდ ქცევას ანუ შედეგი (C) ეს საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ, განმეორდება ეს ქცევა მომავალში თუ არა, მაგ: თუ გავშვი ტირის და ფხეხებს აბაქუნებს, დედა კი მივიდა და დაუწყო ფერება, ბართობა, დამშვიდება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს ქცევა კვლავ განმეორდება, მიუხედავად იმისა რომ იმ წუთას გავშვი გაჩუმდა. თუ არასასრულ ქცევას, განხორციელებსთანავე მოყვება გავშვისათვის სისიამოვნო შედეგი, ეს ქცევა განმეორდება, თუ პირიქით, უსიამოვნო ან საერთოდ არაფერი, ეს ქცევა თანდათანობით ჩაქრება.

ქცევის შედეგის განსაზღვრა, გვაძლევს საშუალებას არა მარტო ვიწინასწარმეტყველოთ ამ ქცევის განმეორება, არამედ ვგართოთ კიდეც ეს ქცევა.

როგორც ვხედავთ ქცევაზე სრული სურათის შესაქმნელად, აუცილებელია იმის განსაზღვრა თუ რა უსწრებს ქცევას წინ, რა გარემოებაში განხორციელდა ქცევა და რა მოყვება უშუალოდ ქცევას ანუ ქცევა უნდა ავლწეროთ ჩ მოდელის მიხედვით.

A-B-C –ის იდენტიფიკაცია

როდესაც განსაზღვრულია პრობლემური ქცევა, რომელიც გვინდა რომ შევცვალოთ ან ჩავაქროთ, კირველ რიგში ვაკვირდებით მას, რათა განვსაზღვროთ, თუ რა ბარემო ფაქტორები მოქმედებს აღნიშნულ ქცევაზე, რისთვისაც ვიყენებთ შემდეგ მოდელებს.

განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე:

პატარა ბიჭუნა ჭამის დროს ხტება სკამიდან, შემდეგ ძვრება მაგიდის ქვეშ, ან დარბის სამზარეულოში, ადებს უჯრებს და ყრის იატაკზე მასში მოთავსებულ ნივთებს. როდესაც მას თავის აღბილზე დაბრუნებას სთხოვენ ის ტირის, ყვირის და უძალიანდება გშობლებს. ასეთმა ქცევამ ჭამის პროცესი აუტანელი გახდა.

გშობლებმა დაიწყეს დაკვირვება და შედეგების ჩაწერა, რაც 5 დღე გაგრძელდა, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბიჭუნა საუზმის და სადილის დროს უმეტესად იჯდა მაგიდასთან და გშობიდან იქცეოდა, ხოლო ყოველი ვახშმის დროს ვლინდებოდა ზემოთ აღწერილი ქცევა.

A-წინაპირობა

B- ქცევა

C-შედეგი

საუზმის განმავლობაში, ბიჭუნა და დედა ზიან მაგიდასთან, მიირთმევენ საჭმელს, დედა ბიჭუნას ესაუბრება.

ბიჭუნა მიირთმევს საჭმელს, უსმენს დედას.

დედა ალაგებს მაგიდას, ბიჭუნა ეხმარება.

სადილის
ბანმავლობაში,
ბიჭუნა და დედა
ზიან
მაბილასთან,
მიირთმევენ
საჭმელს, დედა
ბიჭუნას
ესაუბრება.

ბიჭუნა
მიირთმევს
საჭმელს,
უსმენს
დედას.

დედა ალაგებს
მაბილას, ბიჭუნა
ქმარება.

ვანუაშის
ბანმავლობაში,
მშობლები და
ბიჭუნა ზიან
მაბილასთან,
მშობლები
ერთმანეთში
საუბრობენ.

ბიჭუნა
ხტება
მაბილიდან,
ღარბის.

ოჯახის
წევრები მიდიან
მასთან,
თხოვენ
მაბილასთან
დაბრუნებას,
ამწვილებენ მას.

ამ მონაცემების გაანალიზებით მივიღეთ შემდეგი სურათი: ბიჭუნა ავლენს პრობლემურ ქცევას, მხოლოდ ვახუშის დროს, როდესაც მამა სახლშია. ამ მონაცემებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ:

A-წინაპირობა

B- ქცევა

C-შედეგი

ბიჭუნა ვახუშის
ბანმავლობაში
უწყრადღებოდ
რჩება, რადგან
მშობლები
ერთმანეთში
საუბრობენ.

ბიჭუნა
ხტება
მაბილიდან,
ღარბის.

ოჯახის
წევრები მიდიან
მასთან,
თხოვენ
მაბილასთან
დაბრუნებას,
ამწვილებენ მას.

ეს მაგალითი გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელოვანია ქცევის ასეთი სახით ჩაწერა, ამ დიაგრამის საშუალებით კარგად ჩანს ქცევის კონტექსტი. ნათელია რომ, ქცევითი პრობლემა მხოლოდ გავწვიდან არ გამოვლინარეობს, არამედ მის გარემოცვაზეც არის დამოკიდებული. ბიჭუნასთვის ბასაბები გახდა, რომ ყურადღების მოკრძვების საუკეთესო საშუალება, სადილის დროს მაბილიდან წამოხტომა იყო. პრობლემური ქცევა, რომელსაც მოყვება დადებითი განმტკიცება, დიდი ალბათობაა განმეორდეს მომავალშიც. ამ შემთხვევაში დადებითი განმტკიცება, მშობლების ყურადღება იყო, ანუ ბიჭუნა თავისი ქცევით იღებდა იმას, რაც მასს სურდა.

პრობლემის გადაჭრის სტრატეგია

განვიხილოთ, თუ რა სტრატეგია შეარჩია ბიჭუნას ოჯახმა, აღნიშნულ ქცევასთან მიმართებაში:

დაკვირვების შედეგების ანალიზით, ნათელი გახდა რომ, ბიჭუნას პრობლემური ქცევა თავს იჩენდა, როცა ოჯახის წევრებისაგან ყურადღების სიმცირეს ბრძნობდა.

ანუ ქცევის წინაპირობა სადილის დროს ყურადღების სიმცირე იყო.

დედა ამბობდა, როდესაც ბიჭუნა სკამიდან ხტებოდა, მთელი ოჯახი მას დასდევდა და სთხოვდა აღბილზე დაბრუნებას. ამ დროს იგი ყველაფერს აფუჭებდა. *პრობლემური ქცევის შედეგი კი იყო, ოჯახის წევრების მიერ ბიჭუნასადმი მიმართული ყურადღება.*

ოჯახის წევრები შეიკრიბნენ და მოიფიქრეს პრობლემური ქცევის მოგვარების გზა, რაც შემდგომადი იყო: ბიჭუნას არ უნდა მოკლუბოდა ყურადღება სადილის დროს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი ის მაინც წამოხტებოდა სკამიდან, მისთვის იბნორირება უნდა გაეწიათ. ამ გზით იგი ყურადღებას მხოლოდ მაბილასთან ჯდომის შემთხვევაში მიიღებდა, და შემდეგ ამჯობინებდა მაბილასთან ჯდომას. დედას ეს იდეა დიდად არ მოეწონა, რადგანაც ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ბიჭუნა მაბილასთან აღარ დაბრუნებულიყო. მაგრამ მამა ამბობდა, რომ იგი დიდხანს მშვიდრი არ გაჩქარდებოდა და იბნორირების შემდეგ თვითონვე დაუბრუნდებოდა თავის ადგილს.

მათ ამ მეთოდის გამოყენება გადაწყვიტეს ვახშმის დროს, რადგანაც ეს ბანსაკუთრებით რთული პერიოდი იყო. ბიჭუნა ძალიან ძალზე წამოხტა სკამიდან და ცდილობდა თავისი საქციელით მიეპყრო ოჯახის წევრების ყურადღება. მაშინ როცა მან ვერანაირი გამომწამაშრება ვერ მიიღო ოჯახის წევრებისაგან, მაბილასთან დაბრუნდა. ასე ბრძნობდა რამოდენიმე დღე. ამ ყველაფრის შესრულება არც ისე ადვილი იყო ოჯახის წევრებისათვის. მაშინ როცა ბიჭუნა ყველაფერს აქეთ-იქით ყრიდა, ოჯახის წევრები მას სრულ იბნორირებას უწევდნენ, მას შემდეგ კი რაც იგი მაბილასთან ბრუნდებოდა, მთელი ყურადღება მისკენ ჰქონდათ მიჰყოლილი.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბიჭუნას აშკარა პრობრემი ჰქონდა. პირველ კვირას მაბილასთან ყოფნის ხანგრძლივობა 5წ-თს შეადგენდა, მეორე კვირას ეს ციფრი 13-მდე გაიზარდა, ბოლო კვირებში კი ბიჭუნა მაბილასთან 16 წუთი იჯდა, ანუ ეს მთლიანად სადილის ხანგრძლივობაა, იგი დგებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სუფრასთან დენერტი მოჰქონდათ. ოჯახმა გადაწყვიტა კედელზე ჩამოეკიდათ პრობრემის აღმნიშვნელი ცხრილი. მიზნის მიღწევის შემდეგ მათ გადაწყვიტეს რესტორანში ესაღილათ.

პრობლემური ქცევის მართვა

ქცევის ზემოთ აღწერილი მეთოდით დაკვირვება, გვაძლევს საშუალებას შევქმნათ პრობლემური ქცევის მართვის გეგმა. ვინაიდან უკვე ვიცით რა იწვევს ქცევას და რა ბანამტკიცებს მას ანუ ვიცით ქცევის წინაპირობა და შედეგი, ამ მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ქცევის უუნძვიაც გავიბრთ - ეს არის ყურადღების მოკოვების საშუალება, კომუნიკაციის საშუალება თუ მეცადინეობის თავიდან აცილების საშუალება.

აქედან გამომდინარე, ქცევის წინაპირობის და შედეგის შეცვლით, ჩვენ შეიძლება თავად ქცევაც შევცვალოთ.

დავიწყეთ ქცევის შედეგის გაანალიზებით:

დავიმასხოვროთ შემდეგი ორი წესი:

- *ქცევა, რომელსაც მოჰყვება დადებითი შედეგი განმეორდება მომავალში.*
- *ქცევა, რომელსაც მოჰყვება უარყოფითი შედეგი, ნაკლებ მოსალოდნელია რომ განმეორდეს მომავალში.*

ყურადღება მიაქციეთ პრობლემური ქცევის შედეგს, ასევე ყურადღება მიაქციეთ თქვენს ქმედებას, იქნებ თქვენ განუმტკიცებთ მას პრობლემურ ქცევას.

ბანკინილოთ რამოდენიმე მაგალითი, თუ ყველზე ხშირად რა შედეგის მოპოვებაზეა ბავშვის ქცევა მიმართული:

ყურადღება

ყველა ბავშვი “ემებს” ყურადღებას. ბავშვი, რომელიც კარგად სწავლობს სკოლაში, ეხმარება დედას საოჯახო საქმიანობაში, ალაბებს თავის ნივთებს, უფროსების მხრიდან ყოველთვის იღებს დადებით ბამონებაშრებას. ნუ ბაბიკვირდებათ, რომ მოუფრება, ღიმილი, ყურადღება, და რაიმე პრიზი არის პირდაპირი მიზეზი “კარგი” ქცევისა.

ყურადღება, რომელიც მოჰყვება პრობლემურ ქცევას, რა თქმა უნდა არ არის ღიმილი და შექება, უმეტეს შემთხვევაში ეს ბახლავთ მკაცრი მითითებები: “შეწყვიტე”, “შეჩერდი” და ა.შ. მსბავსი ბამონათქვამი ბავშვს ეუბნება: “მე თვალს ვაღწენებ შენ საქციელს” (ანუ ის იბებს, რომ ყურადღებას აქცევენ, რაც მისთვის მათავარიია).

აქტიობა

როდესაც ჩვილი ტირის, ვვიძრობთ, რომ ის მწიბრია, ან თავს არაკომფორტულად ბრძნობს, მას ვაჭმევთ, ვუცვლით, ვუმღერით, ან ვეთამაშებით. უმეტეს შემთხვევაში ჩვილი წყვეტს ტირილს.

როდესაც იხრდება, მას აქვს უნარი თავის სურვილი სიტყვებით ბადმობვცეს, ამიტომ მას აღარ სჭირდება ტირილი. ზოგიერთი ბავშვი შედარებით ბვიან იწყებს მეტყველებას, ზოგიერთს მთელი ცხოვრების ბანმავლობაში მეტყველების პრობლემები აქვს. ასეთ ბავშვს სურვილიების დასაკმაყოფილებლად კვლავ ტირილი უწევს, მშობელი კი სხვადასხვა ბზიო ცდილობს მის დაგშვიდებას, ამის შედეგად ბავშვს პრობლემური ქცევა უმტკიცდება. მაბ: მშობელმა აღმოაჩინა, რომ ბავშვი მაშინ წყვეტს ყვირილს და ფხეების ბაკუნს, რაც სამ ნაჭერ ნამცხვარს მისცემენ.

ბავშვმა ყვირილი და ფხეების ბაკუნი რომ შეწყვიტოს დედა აძლევს სამ ნაჭერ ნამცხვარს; რას სწავლობს ბავშვი ამ შემთხვევაში? – მან უნდა იყვიროს და აბაკუნოს ფხეები სასურველი რაოდენობის ნამცხვრის მოსაპოვებლად. *პრობლემური ქცევის შესაწყვეტად მიმართული მოქმედებები რობორიცაა ჭამა, თამაში, ბასეირნება, იწვევს პრობლემური ქცევის ბანმტკიცებას.*

ხშირია მშობლების მხრიდან შემდეგი სახის რეაქციები:

1. “აღარ შემიძლია მისი კვილის მოსმენა, ჩავურთოთ ტელევიზორი”
მშობელს მოგეზრდა ბავშვის ყვირილი, ტირილი, ოთახეში სირბილი, იბი ბავშვს უსრულებს სურვილს, ბავშვი წყვეტს პრობლემურ ქცევას და წყნარდება, შესაბამისად მშობელიც ისვენებს, თუმცა ღროებით, რაღბანაც მსბავსი ქმედებით პრობლემური ქცევა მტკიცდება.

ბავშვმა უკვე დააფიქსირა, რომ ტირილი და ყვირილი ეხმარება მიზნის მიღწევას.

2. “თუ შეწყვეტ ტირილს, მოგცემ ნამცხვარს”

პრობლემური ქცევის შეწყვეტის მიზნით მშობლები ხშირად ბავშვთან “გარიბეზას”ღებენ. დავუძრდეთ რას ვეუბნებით ამით ბავშვს, იმისათვის რომ შეჩერდეს, ჯერ უნდა დაიწყოს ტირილი, ყოველი შეჩერების შემდეგ მას აძლევენ ნამცხვარს, ამით პრობლემური ქცევის სიხშირე იზრდება.

თავიდან აცილება

ზოგჯერ ისეთ არასასიამოვნო სიტუაციაში ვარდებით, ვფიქრობთ – როგორ გამოვძვრეთ აქედან?, ასეთი სიტუაცია შეიძლება იყოს გადატვირთული ავტობუსი, მოსაწყენი საუბარი, ან ნათესავის სტუმრობა თავის 8 შვილთან ერთად.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციებიდან საუკეთესო გამოსავალი მათი თავიდან აცილებაა.

დავუკვირდეთ შემდეგ მაგალითს: მასწავლებელმა ბავშვს ბაკვეთილი უნდა გამოკითხოს, მან კი დავალება არ იცის. ბავშვი იწყებს ხმაურს, რადგან იცის, ამის გამო მასწავლებელი საკლასო ოთახიდან გაუშვებს, ამით გამოქანებას გადარჩება. ასეთი სიტუაცია ბაკვეთილის გამოკითხვის დროს ხშირად მეორდება.

ქცევითი პრობლემა ზოგჯერ წარმოიქმნება უსიამოვნო სიტუაციიდან თავის დაკვირვის მიზნით.

ადექვატური შედეგები (როდესაც გვინდა, პრობლემური ქცევის შემცირება)

იბნორირება

იბნორირების შემთხვევაში ბავშვმა გშვინივრად იცის, რომ პრობლემური ქცევის განხორციელებით იგი ვერანაირ ჭურაღლებას ვერ მიიყვრობს. იბნორირება არის პრობლემური ქცევის მართვის ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია, თუმცა საკმაოდ რთულია მისი პრაქტიკულად განხორციელება.

ბავშვი მშობლისგან გამუდმებით ითხოვს ჭურაღლებას. იბნორირების საშუალებით იგი ხვდება, რომ ყოველთვის ვერ მოიპოვებს ჭურაღლებას. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

“ცუდი” ქცევის იბნორირება

ყოველ დღით, როცა და-ძმა სკოლაში მიდიოდა, პატარა ბობონა იწყებდა მოუსვენარ საქციელს, იშენდა მუშტებს, ძაჩავდა ფარდებს და ტიროდა. დედა მის დამშვიდებას სიმღერით და მოფერებით ცდილობდა. ზოგჯერ ეს ხერხი ჭრიდა და ბობონა ჩერდებოდა, თუმცა ძალიან მაღე ისევ თავიდან იწყებდა ამგვარ ქცევას. მშობლის ქმედებაში მცირეოდენი ცვლილება, სრულიად შეცვლიდა ბობონას ქცევას. ქცევითი პრობლემის დადებითი განმტკიცების ნაცვლად, დედას შეეძლო მოქცეულიყო შემდეგნაირად:

A

B

C

გობონას და-ამის სკოლაში წასვლა	გობონა იშენს მუშტებს	დედა იბნორირებს უწევს მას
--------------------------------	----------------------	---------------------------

რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ ისეთი ქცევის იბნორირება, რომელიც რაიმეს დაზიანებას არ გამოიწვევს. მაგალითად გობონას დედამ იცოდა, რომ იგი სერიოზულ დაზიანებას არ მიაყენებდა საკუთარ თავს. იბნორირების გამოყენების შემთხვევაში, მოზვიწვევს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა.

არის თუ არა საუკეთესო გზა იბნორირება?

მართლაც, იბნორირება არ არის ერთადერთი საუკეთესო საშუალება. გავშვითან მუშაობის დროს, თავად შეგიძლიათ შეიმუშაოთ ქცევის მართვის ეფექტური გზა. თუ იბნორირების გამოყენებას აპირებთ, მაშინ დაფიქრდით, შეძლებთ თუ არა სრულ იბნორირებას, გავშვმა თქვენი მინიმალური ყურადღებაც კი არ უნდა იბრძნოს.

კვილის, ყვირილის და რისხვის შეტევის დროს საუკეთესო გზაა გაეცალოთ სიტუაციას: განვიღეთ ოთახიდან, ჩართოთ რადიო, დაიწყეთ გაზეთის კითხვა.

ზოჯერ გავშვმა ყურადღების მისაქცევად შეიძლება შემდეგ ხერხს მიმართოს: კაბაზე ჩამოგეპილოთ, კალთაზე ამოკრმს, ან საუბარი გაბიბათ, ამ შემთხვევაში გაუწიეთ სრული იბნორირება, იმისათვის რომ მომავალში ეს საჭიციელი პრობლემურ ქცევაში არ გადაიზარდოს.

როგორ მოიქცევა გავშვი როდესაც მის ქცევას იბნორირებას გაუწევნ?

აქამდე მან იცოდა რა გზით მიეკქრო ყურადღება, ახლა კი როცა მისი ოინი აღარ ჭრის რა შეიძლება მოიმოქმედოს? უმეტეს შემთხვევაში იგი ეცდება კვლავ მიიქციოს ყურადღება, თავდაპირველად პრობლემური ქცევა კიდევ უფრო გამწვავდება, ნუ შეშინდებით, რადგან ეს დროებითია, ეს გაბრძელება იქამდე, სანამ გავშვი საბოლოოდ არ დარწმუნდება, რომ ამ გზით იგი ყურადღებას ვერ მოიკრვებს.

ბანამატკიცებლის მოცილება

როდესაც გავშვს ყურადღებას მოაცილებთ, გუნებრივია ბანამატკიცებლის მიცემასაც შეუწყვეტთ. ასეთ შემთხვევაში, პრობლემურ ქცევას ნამდვილად არ მოყვება შედეგად, რაიმე სასიამოვნო.

ზოგინერთი სიტუაცია თავად გიკარნახებთ, თუ როდის აღარ უნდა მისცეთ ბანამატკიცებელი, ან მოაცილოთ ის რაც სიამოვნებს, მაბ:

- როდესაც გავშვი საჭმელით თამაშობს, ერთი წუთით მოაცილეთ საჭმელი.
- გამოსრთეთ გავშვს ტელევიზორი, იქამდე, სანამ რწევას არ შეუწყვეტს.
- გამორთვით გავშვს გურთი, როდესაც ის კატას ესვრის გურთს.

ისე უნდა დაგებმთ თქვენი მოქმედება, რომ ბანამატკიცებლის მოცილების შემდეგ, ის კვლავ აღვილად მოსაპოვებელი გახდეს გავშვისთვის.

“ტაიმ-აუტი”

მაშინ როცა პრობლემური ქცევის მართვა შეუძლებელია იბნორირებით, ჩვენ შეგიძლია “ტაიმ-აუტი” გამოვიყენოთ. “ტაიმ-აუტი” ნიშნავს სიტუაციიდან გავშვის განსახვრული დროით მოცილებას. ეს კერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 5-10 წუთს. მაგალითად:

- კუთხეში სკამზე მოთავსება
- ოჯახის წევრებიდან გაცილებით შორს, იატაკზე მოთავსება
- შემოსასვლელში მარტო მოთავსება
- ოთახში მარტო დატოვება

ბავშვის იმ სიტუაციიდან განრიღება მარტივად შეიძლება, სადაც პრობლემური ქცევა წარმოიშვა;

მაგ: ნიკას ოჯახმა გადაწყვიტა გამოეყენებინა 5 წუთიანი “ტაიმ-აუტი” მაშინ, როცა ნიკა ვინემს უჩქმებდა.

ერთ დღეს ნიკა დაჭერობანას თამაშობდა თავის დებთან ერთად. თამაშის დროს მან თავის დას უჩქმებდა. ამის გამო იგი 5 წუთით ოთახში ჩაკეტეს. დანიშნული დროის ბასვლის შემდეგ, როდესაც მის გამოსაყვანად მივიდნენ, მან კვლავ უჩქმებდა ბობონას, რის შემდეგაც მას უთხრეს, რომ კვლავ 5 წუთიანი ტაიმ-აუტი დაიმსახურა, რაც კალიან ძნელი იყო ნიკასთვის, რადგან მას თამაში უნდოდა, თანაც დები დაკირდნენ, რომ ასეთი ქცევის შემთხვევაში მას კიდევ 5 წუთი მოუწევდა ოთახში ყოფნა. როდესაც 5 წუთის შემდეგ შევიდნენ ოთახში, მას აღარ უჩქმებია ბობონებისთვის, რისთვისაც დღემ ნიკა შეაქო და ბობონებთან თამაშის ნება ღართო.

ტაიმ-აუტის გამოყენებისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- დავპრობებით აღწერეთ ქცევა, რის გამოც ბავშვმა “ტაიმ-აუტი” დაიმსახურა.
- წინასწარ განსაზღვრეთ აღბილი, სადაც ბავშვმა “ტაიმ-აუტი” უნდა გაატაროს (სკამი, ოთახში აღბილი).
- წინასწარ განსაზღვრეთ დრო, თუ რამდენ ხანს უნდა გაბრძოლდეს “ტაიმ-აუტი”.
- დარწმუნებული უნდა იყოთ იმაში, რომ ბავშვმა იცის რატომაც მოუწია “ტაიმ-აუტი”, ეს თქვენ წინასწარ კარგად უნდა აუხსნათ, მაგალითად “თუ ვინემს შეაფურთხებ”, მოგიწევს 5 წუთით “ტაიმ-აუტში” ყოფნა. “ტაიმ-აუტის” განხორციელების დროს თქვენ აღარ უნდა დაგჭირდეთ იმის ახსნა, თუ რატომ ან რისთვის ექცევიტ მას ასე; “ტაიმ-აუტის” დროს ღაპარაკი იგივე ყურადღების ტოლფასია. შეიძლება ამ დროს მან დაბიწყოთ ხვეწნა, რომ არასოდეს აღარ მოიქცევა ასე და ა.შ. მაგრამ მის სიტყვებს სრული იგნორირება გაუწიეთ.
- “ტაიმ-აუტის” დროს მოკიდეთ მაჯაში ხელი ბავშვს (არა აბრუსიულად) და მიიქვანეთ წინასწარ თქვენს მიერ შერჩეულ აღბილას. შეიძლება მან დაიწყოთ ვხეხვის გაკუნდი, ტირილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მის საჭციელს იგნორირება გაუწიეთ. დაიმახსოვრეთ “ტაიმ-აუტი” მისთვის სრულიად ახალი სტრატეგიაა და შესაბამისად მისი მხრიდან პროტესტი მოყვება, თუმცა თქვენ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ.
- შეიძინეთ წამხომი, რომელზეც დაინიშნავთ “ტაიმ-აუტის” დროს. ბავშვი დროთა განმავლობაში აუცილებლად მიხვდება, რომ მისი პროტესტი არ ამცირებს და არ წყვეტს “ტაიმ-აუტში” ყოფნის ხანგრძლივობას.
- როდესაც “ტაიმ-აუტი” დამთავრდება, მიღით მასთან და წყნარად უთხარით, რომ გამოსვლა შეუძლია. ამ შემთხვევაში დააკვირდით მის ქცევას, შეიძლება მან უარი განაცხადოს გამოსვლაზე, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, მაღე თვითონვე მოგეზრდება მარტობა და გამოვა.

ალტერნატიული ქცევის წახალისება

თუ პრობლემური ქცევის სასურველი ქცევით ჩანაცვლება გადაწყვიტეთ, მაშინ ხაზგასმით უნდა განუმტკიცოთ ბავშვს სასურველი ქცევა, და პრობლემური ქცევის სრული იგნორირება უნდა მოახდინოთ.

ასწავლეთ ბავშვს ალტერნატიული ქცევა, უნარ-ჩვევა. შეგიძლიათ იმუშაოთ ბავშვთან სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. მაგალითად: ბიჭუნას

შემთხვევაში, გზობლებს იბნორირების ნაცვლად, შეეძლოთ დაეტივირთათ ჭამის პროცესი, ესწავლებინათ დანის გამოყენება, ჩანბლით ჭამა. რაც უფრო დატივირთულია ბავშვი დღის ბანმავლობაში სხვადასხვა ატიტიობებით, მით ნაკლებად ავლენს პრობლემურ ტვევას. რაც უფრო მეტი უნარ-ჩვევას ბანუპითარებთ ბავშვს, მით უფრო სწრაფად დაკარბავს პრობლემური ტვევა თავის უუნტციას.

მიეციოთ მბბალიოოი სხვა ბავშვების სხოოო

ოქვენ შებიძლიათ ანახოოო ის ტვევა, რისი სწავლებაც ბინდაო. ამ პროცესში შებიძლიათ ჩართოოო სხვა ბავშვებიც, ისე რომ პროცესი კალზე ბუნებრივი იყოს.

წინაპირობის შეცვლა

ჩვენ ვისაუბრემო პრობლემურ ტვევაზე, პრობლემური ტვევოო ბამოწვეული შედეგზე, მის შეცვლაზე. პრობლემური ტვევის შეცვლა ასევე შებიძლია წინაპირობის შეცვლიო.

მოაწყვეო სსწავლო ბარემო ისე, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იყოს პრობლემური ტვევის წარმოქმნა.

წინასწარ აუხსენოო ბავშვს რის ბაკემებას აპირებო, რა უნდა შეისწავლოს მან, მიუხედავად ამისა, უშუალოდ მუშაობის პროცესში შეიძლება პრობლემურმა ტვევამ იჩინოს თავი. ხშირად იბნორირება და ტაიმ-აუოი არ არის საუკემესო საშუალება პრობლემური ტვევის მობვარებისთვის. პრობლემური ტვევის მობვარებაში თქვენ შეიძლება დაბესმაროო კარბად შერჩეული სსწავლო ბარემო, მარტივი ინსტრუქციები და სსწავლო პროცესისათვის წინასწარ შერჩეული მასალები. ყოველივე ზემოო ჩამოთვლილი ბახლავო ტვევის წინაპირობის სწორედ შერჩევა, რაც თავიდან აბაცილებო პრობლემური ტვევის წარმოქმნას.

ერთი წუოიო დაფიქრლიო თქვენს დღის რეჟიმზე, აუცილებლად აღმოაჩენო ბარკვეულ ქმედებებს, რასაც ბავშვის თავისებურებებიდან ბამომდინარე აკემებო, ცვლილებებს რომელიც ბავშვის ბამო შებაქვო დღის რეჟიმში, მბბ: თქვენ უფრო აღრე ჭამო, რაღბანაც მას უფრო აღრე შივდება, მისთვის შეარჩეოო მოკლე ტარიანი კბილის ჭბბრისი, რაღბანაც მისი დაჭერა უადვილდება და ა.შ. ამ მბბალიოების საშუალებოო ჩვენ ვეცადემო აბვეხსნა, რომ შებიძლიათ, ბავშვისთვის დროისა და ბარემოს შექმნა და მორბება, რათა თავიდან ავიცილოო პრობლემური ტვევა.

არსებობს სიოუბაციები, როდესაც წინასწარ იციოო თუ რა რეაქცია ექმნება ბავშვს, მბბალიოად მას უშინია ექიმის, და წინასწარ იციოო რა მოქმდება მასთან ვიზიოოს, ამიოომ წინასწარ მოიფიქრემო ატიტიობები, რისი საშუალებოოთაც თავიდან აიცილებოო პრობლემურ ტვევას. მსბავსი რამ შეიძლება ბანმეორდეს მალახიაში წასვლის დროს, მან შეიძლება მობოხოვოო ისემი რამის შექმნა, რაც თქვენ ბათვალისწინებული არ ბაქვო, ამიოომ წინასწარ უნდა აუხსნათ ბავშვს რის ქიღვას აპირებო, და რაც არ უნდა იყოს თქვენ სხვას ვერაფერს იქილიო, უბრალო მიზების ბამო-თქვენ მეტი ფული არ ბაქვო.

